საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 142 2020 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

მანანა ფრუიძისათვის „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების XVII-C დანართისა და XVII-D დანართის განახლების შესახებ გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის გადაწყვეტილების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში – „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) შესრულებასთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 მაისის №211 დადგენილების საფუძველზე, ასოცირების შესახებ შეთანხმების 171-ე მუხლის თანხმად XVII-C დანართისა და XVII-D დანართის განახლების

შესახებ გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის N1/2020 გადაწყვეტილების ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს მანანა ფრუიძეს.

პრემიერ მინისტრი **გიორგი გახარია**